

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“-ს

## ბიბლიოთეკის დებულება

2019 წელი

### თავი 1. ზოგადი დებულება

1.1 სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“-ს ბიბლიოთეკა არის სტრუქტურული ერთეული რომელშიც განთავსებულია ბიბლიოგრაფიული ფონდი საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა და ბეჭდვითი გამოცემები აგრეთვე ისტორიული, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა. აგრეთვე ელექტრონული რესურსები.

1.2. კოლეჯის ბიბლიოთეკის ძირითადი დანიშნულებაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები სტუდენტების, აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

1.3. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კოლეჯის წესდებით და აგრეთვე ამ დებულებით.

### თავი 2. ბიბლიოთეკის ამოცანები და მიზნები

2.1. ბიბლიოთეკის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს და წვლილი შეიტანოს კოლეჯის მისიის, მიზნებისა და დანიშნულების განხორციელებაში

2.2. ბიბლიოთეკის ძირითად მიზნებს წარმოადგენს კოლეჯის სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის ამაღლება-გაღრმავების ხელშეწყობა სათანადო სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით.

2.3. ამ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს;

ა) მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები).

ბ) შესაბამის პროფილების ლიტერატურისა და დოკუმენტების შეგროვებას და მათ სათანადო დაცვა-მოვლა-პატრონობას.

გ) საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის ხელმისაწვდომობასა და მომსახურების მაღალ დონეს როგორც ადგილზე, ისე სახელმძღვანელო და სხვა სახის ლიტერატურისა და დოკუმენტების დროებით სარგებლობაში გაცემით.

### თავი 3. ბიბლიოთეკის ძირითადი პრინციპები და ფუნქციები

#### 3.1. ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია

- საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება;
- ბიბლიოთეკის სისტემატური მომარაგება საგანმანათლებლო, სამეცნიერო ღირებულების მქონე ქართული და უცხოური წიგნებით/გამოცემებით;
- ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის დაცვა და სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის/მოწვეული სპეციალისტებისათვის მათი თავისუფლად წვდომის უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზების შექმნა;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სამკითხველოში ლიტერატურით სარგებლობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდაობა;
- ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით;

### თავი 4. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა

4.1. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს კოლეჯის დირექტორი და თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

4.2. ბიბლიოთეკარის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

#### 4.3. ბიბლიოთეკარი;

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის საერთო საქმიანობას, უზრუნველყოფს წიგნადი და სხვა ფონდების გამდიდრებას და მათ დაცვას, მოვლა-პატრონობას, ბიბლიოთეკასა და წიგნსაცავებში ჰიგიენური კლიმატური რეჟიმის დაცვის ფონდების რესტავრაციასა და კონსერვაციას.

ბ) შეიმუშავებს ბიბლიოთეკის შინაგანაწესს, ბიბლიოთეკის ფონდებით სარგებლობის წესებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.

გ) წარუდგენს რეკომენდაციებს, მოსაზრებებსა და წინადადებებს კოლეჯის დირექტორს ბიბლიოთეკის ფონდების შევსების, ორგანიზაციულ-საკადრო და სხვა საკითხების გადასაწყვეტად.

დ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს კოლეჯის დირექტორს ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ.

## **თავი 5. ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება-მოვალეობანი.**

### **5.1. ბიბლიოთეკა უფლებამოსილია;**

ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციები განახორციელოს დამოუკიდებლად.

ბ) ბიბლიოთეკის ფონდები განაგოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

გ) მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაარღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზიანს მიაყენებენ ბიბლიოთეკას.

დ) ითანამშრომლოს კოლეჯოს საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურებთან, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო დაწესებულებებთან.

### **5.2. ბიბლიოთეკა ვალდებულია;**

ა) თავისი საქმიანობა წარმართოს კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე და მათ შესაბამისად.

ბ) სისტემატურად დააკომპლექტოს ფონდები პროფილის შესაბამისად საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და უზრუნველყოს მათი ასახვა საინფორმაციო-საცნობარო საშუალებებში.

გ) უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე მათი ინტერესების შესწავლისა და ბიბლიოთეკის რესურსების საფუძველზე.

დ) აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი

ე) ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვალდებულია გააცნოს მკითხველს "ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება".

### **5.3. მკითხველი უფლებამოსილია;**

ა) მკითხველს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისარგებლოს ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მუშაობის საათებში

ბ) მიიღოს ინფორმაცია საინტერესო საკითხებზე.

დ) ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის გატანაზე ნებართვის შეზღუდვა ხდება

ბიბლიოთეკარის მიერ, იმ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკის ფონდში

მკითხველისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემი ერთეულის ეგზემპლარების

ოდენობა 3-ზე ნაკლებია; რა დროსაც მკითხველს უფლება აქვს ისარგებლოს ქსერო

ასლით სამკითხველო დარბაზში;

## **თავი 6. სამუშაო დრო 6.1. ბიბლიოთეკა მუშაობს 09.30-ს.თ-დან 18-ს.თ.-მდე**